	ENERGO-PRO	სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ JSC "Energo-Pro Georgia"
გამოცემის თარიღი: Date of Issue: 31.01.2022.	ძალაში შესვლის თარიღი: Valid since: 01.02.2022.	მოქმედების ვადა: Valid till:

მიზანი: სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ 0,4-6-10 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონებში დაქირავებული პერსონალის მიერ ნარგავების გაჩეხვის სამუშაო პროცესის უსაფრთხოდ შესრულება

Purpose (of implementing): Safe fulfillment of cutting working process of the plants by the hired personnel in 10-6-0,4 kv air electricity transmission lines' protection zones of JSC "Energo-Pro Georgia"

დოკუმენტის ტიპი: ბრძანება **Type of Document:** Order	**რეგისტრაციისა და დოკუმენტის ნომერი:** **Registration and file No.:** EPG OR2022002

სათაური: სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ 0,4-6-10 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონებში დაქირავებული პერსონალის მიერ ნარგავების გაჩეხვის სამუშაო პროცესის უსაფრთხოდ შესრულების შესახებ

Title: On safe fulfillment of cutting working process of the plants by the hired personnel in 10-6-0,4 kv air electricity transmission lines' protection zones of JSC "Energo-Pro Georgia"

დამტკიცებულია: **Approved by:**		**ხელოწერა:** **Signature:**
ხელმძღვანელის თანამდებობა: **Position of Manager**:	**დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე** **The Chairman of the Board of Directors**	
სახელი, გვარი: **Name:**	**გრიგოლ მამისეიშვილი** **Grigol Mamiseishvili**	

,,ენერგო-პრო ჯორჯიას“ 0,4 - 6- 10 კვ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონებში დაქირავებული პერსონალის მიერ ნარგავების გაჩეხვის სამუშაო პროცესის უსაფრთხოდ შესრულების მიზნით **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**	With the purpose of safe fulfillment of cutting working process of the plants by the hired personnel in 0,4-6-10 kv air electricity transmission lines' zone of "Energo-Pro Georgia" **I ORDER:**
1. სამუშაოს დაწყებამდე დაქირავებულ პერსონალს ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი იმ ქვედანაყოფის ხელმძღვანელმა, რომლის უბანზეც ტარდება სამუშაოები. ინსტრუქტაჟის ჩატარება უნდა დაფიქსირდეს ინსტრუქტაჟის რეგისტრაციის ჟურნალში, ინსტრუქტაჟის ჩამტარებლისა და ინსტრუქტირებულის ხელის მოწერით.	1. Before the works are started, instructions should be conducted to the hired personnel by the manager of that Subunit at whose district the works will be held. Conducting of the instruction should be fixed into the registry of the instructions with signature of the person who performed the instruction and the person to whom the instruction was conducted.
2. საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონებში ტრასის ხეებისაგან გაწმენდა უნდა შესრულდეს განწესით.	2. Cleaning of the route/road from the trees in the air electricity transmission line's protection zones should be carried out upon the work order.
3. განწესის გაცემა დასაშვებია როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური ვერსიით (ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე). ნებისმიერი ფორმით გაცემულ განწესს თან დაერთოს რისკების შეფასების ბარათი, რომელიც უნდა გაეცნოს სამუშაოს შემსრულებელ პირებს. გაცნობა დადასტურდეს ბარათზე მათი ხელის მოწერით. (დანართი 1. რისკის შეფასების ბარათი)	3. Issuance of the work order is possible as in electron form as well as in printed form (deriving from the local conditions). Work order issued in any type should be attached with the risk assessment card that should be introduced to the work executers. Introduction with the card should be confirmed by their signature on the card (Annex 1, Risk assessment card)
4. განწესი უნდა გაიცეს მინიმუმ ელექტროუსაფრთხოების მე-3 ჯგუფის მქონე მეთვალყურეზე, განწესის გაცემის უფლების მქონე იმ ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის მიერ, რომლის უბანზეც ტარდება სამუშაოები.	4. Work order should be issued minimum to the supervisor of group 3 of electric safety by that administrative technical personnel authorized to issue the work order where the works will be fulfilled.
5. სამუშაო ადგილის მომზადებას გაცემული განწესის შესაბამისად და სამუშაოებზე პირველად დაშვებას ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ზონაში ასრულებს იმ ქვედანაყოფის წარმომადგენელი, რომლის უბანზეც ტარდება სამუშაოები. აგრეთვე, მას აქვს მინიჭებული სამუშაო ადგილის მომზადებისა და დაშვების უფლება. დამშვები ბრიგადის ხელმძღვანელის ან პასუხისმგებელი შემსრულებლის დაშვებას ახორციელებს უსაფრთხოების ტექნიკის წესების	5. Preparation of the work place in line with the issued work order and primary allowance at works in electricity transmission lines' protection zone is carried out nu representative of that sub unit where the works will be implemented. O the work place. he is granted with the right to prepare the work place and give allowance. Person who permits to the work place carried out allowance of the manager of the brigade or responsible executor in accordance with the requirements of safety technique rules.

მოთხოვნების შესაბამისად.	
6. წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ფილიალის დაბალი ძაბვის ინჟინრებსა და მომსახურების ცენტრის მთავარ ინჟინრებს.	6. Control over the fulfillment of this order shall be assigned to the Low voltage Engineers and Chief Engineers of Service Centers
7. ბრძანების გაცნობა სტრუქტურული ერთეულებისთვის ეთხოვოს სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგის“ კანცელარიას.	7. Introduction of the order to the structural unit shall be asked to the Chancellery of JSC “Energo-pro Georgia Holding”.